# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 400

„15" დეკემბერი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დავით უთმელიძის არჩევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ.დ" ქვეპუნქტის, 37-ე მუხლის პირველი პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის № 2-1 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის საკრებულომ დაადგინა:

1. არჩეული იქნას დავით უთმელიძე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე